ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის

საბჭოს სხდომის

ოქმი N2

5.02.2016

ფაკულტეტის საბჭოს დღის წესრიგი:

1. მაგისტრატურის ანკეტა-კითხვარისა და სამაგისტრო პროგრამებზე კვოტების დამტკიცება
2. ფსიქოლოგიის მიმართულების სამაგისტრო პროგრამებისათვის სავალდებულო წინაპირობის წესში ცვლილების შეტანა
3. ცვლილებები სილაბუსებში.
4. ცვლილება მისაღებ გამოცდაში სამაგისტრო პროგრამისთვის „განათლების ფსიქოლოგია და კვლევა".
5. ცვლილებები სამაგისტრო პროგრამაში:"შრომისა და ორგანიზაციული ფსიქოლოგია".
6. 1988 წლის კურსდამთავრებული ნონა უგულავას დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების შექმნა.
7. ასისტენტ პროფესორ მარინა კაკიაშვილი-ჯაღიაშვილის განცხადება აკადემიურ კონკურსში მონაწილეობის ნებართვის შესახებ
8. ასისტენტ პროფესორ მარინა კაკიაშვილი-ჯაღიაშვილის განცხადება მისი ავტორობით გამოსული სახელმძღვანელოების ფსიქოლოგიის მიმართულების პროგრამების სილაბუსებში სავალდებულო და დამატებით ლიტერატურაში დასახელების შესახებ .
9. ასოცირებულ პროფესორ გიორგი გოროშიძის ინიციატივა ფაკულტეტში შემავალი ინსტიტუტების ბაზაზე დროებითი კომისიის შექმნის შესახებ.

სხდომას ესწრებოდნენ:

თავჯდომარე - დეკანი: პროფ. თამარ გაგოშიძე

ფაკულტეტის საბჭოს წევრები:

<u>ფსიქოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტი:</u>

პროფესორები:

მზია წერეთელი

ლალი სურმანიძე

ალმზე კუტალაძე

ასოცირებული პროფესორები :

ასისტენტ პროფესორები: ხათუნა მარწყვიშვილი, მარინე კაკიაშვილი - ჯაღიაშვილი, ია ფუთარაშვილი

განათლების მეცნიერებათა სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტი:

პროფესორი:

ქეთევან ჭკუასელი

ასოცირებული პროფესორი:

იზაბელა პეტრიაშვილი, ეთერ ღვინერია

ასისტენტ პროფესორი:

ზაქარია ქიტიაშვილი

სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლები:

მარიამ ტაბატაძე, ნინო ცინაძე, სალომე თოფურია, ნიკა გოძიაშვილი, ქეთევან აბესაძე, ანი ზერეკიძე.

საბჭოს სხდომაში მონაწილეობდა სულ 20 წევრი.

განიხილეს:

1). მაგისტრატურის ანკეტა-კითხვარისა და ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამებზე კვოტების გადანაწილების საკითხი

ფაკულტეტის ხარსხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ასოცირებულმა პროფესორმა მანანა მელიქიშვილმა საბჭოს განუცხადა, რომ აუცილებელია მაგისტრატურის ანკეტა-კითხვარის დამტკიცება და ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამების კვოტებზე მსჯელობა. მან საბჭოს მოახსენა, რომ 2016-2107 სასწავლო წელს იხსნება შემდეგი პროგრამები:

ფსიქოლოგიის მიმართულებაზე მიღება ცხადდება შემდეგ სამაგისტრო პროგრამებზე: შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია, განათლების ფსიქოლოგია და კვლევა, გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგია, კლინიკური ნეიროფსიქოლოგია.

განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტი მიღებას აცხადება შემდეგ სამაგისტრო პროგრამებზე: განათლების მეცნიერებები და მასწავლებელთა განათლება.

კვოტები გადანაწილდა შემდეგნაირად:

შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია – 20

განათლების ფსიქოლოგია და კვლევა – 20

გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგია – 15

კლინიკური ნეიროფსიქოლოგია – 15

განათლების მეცნიერებები – 10

საბჭომ კენჭი უყარა კვოტების გადანაწილების წარმოდგენილ მოდელს და ერთხმად დაამტკიცა

მომხრე: 20
მოწინააღმდეგე: 0
თავი შეიკავა: 0

2) ფსიქოლოგიის მიმართულების სამაგისტრო პროგრამებისათვის სავალდებულო წინაპირობის წესში ცვლილების შეტანა

აქვე სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელების ინიციატივით ცვლილებები შევიდა სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობაში, კერძოდ, პროფესორ თამარ გაგოშიძის წინადადებით კლინიკური ნეიროფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამაზე სავალდებულო წესად განისაზღვრა ინგლისური ენის B2 დონის ტესტის ზღვრის გადალახვა (51 და მეტი).
იმავე შინაარსის ცვლილების ინიცირება წარმოადგინა შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის ხელმძღვანელმა, პროფესორმა ია კუტალაძემ, რომლის წინადადებით შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამაზე სავალდებულო წესად განისაზღვრა ინგლისური ენის B2 დონის ტესტის ზღვრის გადალახვა (51 და მეტი).
განათლების ფსიქოლოგიისა და კვლევების სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელმა, პროფესორმა მზია წერეთელმა საბჭოს წინაშე დააყენა წინადადება მისი ხელმძღვანელობით განხორციელებული სამაგისტრი პროგრამის წინაპირობად განისაზღვროს უცხო ენის(ინგლისური, გერმანული, ფრანგული...) B2 დონის ტესტის ზღვრის გადალახვა (51 და მეტი).

საბჭომ კენჭი უყარა წარმოდგენილ შესწორებებს და ერთხმად დაამტკიცა

მომხრე: 20
მოწინააღმდეგე: 0
თავი შეიკავა: 0

3 ცვლილებები სილაბუსებში:

ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელმა, პროფესორმა მანანა მელიქიშვილმა საბჭოს წინაშე დასამტკიცებლად წარმოადგინა ის ცვლილებები, რომლებიც პროგრამების ხელმძღვანელების მიერ იქნა შეტანილი სხვადასხვა სილაბუსებში.

✓ ფსიქოლოგია (ბაკალავრიატი)
- შეიცვალა კურსის, „განათლების ფსიქოლოგიის", სილაბუსი (დაემატა ლიტერატურა, შეიცვალა საკითხები).
- კურსებს „კონსტრუქციული ურთიერთობების ჩვენის ჩამოყალიბების ტრენინგი 1 და 2" დაემატა ახალი ლიტერატურა და შეიცვალა საათების განაწილება.

✓ ფსიქოლოგია (მაგისტრატურა):
- სამაგისტრო პროგრამებში: „განათლების ფსიქოლოგია და კვლევა" და „ბავშვისა და [illegible] ფსიქოლოგია და კონსულტირება" შეიცვალა სილაბუსები: „ადამიანური მოშობის

ოდები 1“ და „ჯგუფური მუშაობის მეთოდები 2“ (დაემატა ლიტერატურა; შეიცვალა საათების განაწილება).

სამაგისტრო პროგრამას, „კლინიკური ნეიროფსიქოლოგია“, დაემატა ახალი კურსები: „ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოთერაპიის პრინციპები“, „მოზრდილთა ფსიქოთერაპიის პრინციპები“, „ქცევითი ნეირომეცნიერბა“, „თავის ტვინის ნეიროვიზუალური მეთოდები და კოგნიტური ფუნქციები“.

აზრი გამოთქვეს:

პროფესორმა ქეთევან ჭკუასელმა შესთავაზა საბჭოს წევრებს ფაკულტეტის დონეზე შემუშავდეს ერთგვარი მინიმალური სტანდარტი, რომელიც მისცემს სილაბუსებისა და პროგრამების ავტორებს საშუალებას გარკვეული ცვლილებები განახორციელონ აკადემიური საბჭოსა და ფაკულტეტის საბჭოს ნებართვის ვალდებულების გარეშე.

საბჭოს მიერ მიეცა რეკომენდაცია ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელ პროფესორ მანანა მელიქიშვილს, რათა მან მოამზადოს აღნიშნული ცვლილებების ტიპების პროექტი და გასაცნობად წარუდგინოს საბჭოს შემდეგ შეხვედრაზე.

საბჭომ კენჭი უყარა წარმოდგენილ ცვლილებათა პაკეტს და დაამტკიცა ერთხმად

მომხრე: 20
მოწინააღმდეგე: 0
თავი შეიკავა: 0

4 სამაგისტრო პროგრამაში – „განათლების ფსიქოლოგია და კვლევა“ მისაღები გამოცდა სპეციალობაში საგნის – „განვითარების ფსიქოლოგიის“ – ნაცვლად ჩატარდება საგანში – „განათლების ფსიქოლოგია და კვლევა“

ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელმა, პროფესორმა მანანა მელიქიშვილმა საბჭოს წარმოუდგინა სამაგისტრო პროგრამის - განათლების ფსიქოლოგია და კვლევა - ხელმძღვანელის, პროფესორ მზია წერეთელის ინიციატივა, რომელიც ითვალისწინებდა შემდეგ ცვლილებას - სამაგისტრო პროგრამაში – „განათლების ფსიქოლოგია და კვლევა“ მისაღები გამოცდა სპეციალობაში საგნის „განვითარების ფსიქოლოგია“ – ნაცვლად ჩატარდეს საგანში –„განათლების ფსიქოლოგია და კვლევა“

საბჭომ კენჭი უყარა წარმოდგენილ ცვლილებას და დაამტკიცა ერთხმად

მომხრე: 20
მოწინააღმდეგე: 0
თავი შეიკავა: 0

5. სამაგიტრო პროგრამის: „შრომისა და ორგანიზაციული ფსიქოლოგია“ მაგისტრანტებს მიეცეთ 15 კრედიტის არჩევის შესაძლებლობა შემდეგი სამაგისტრო პროგრამების არჩევითი საგნებიდან: „ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია“, „გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგია“, „ორგანიზაციის განვითარება და კონსულტირება“ და „ბავშვთა და მოზარდთა შეფასება და კონსულტირება“.

[illegible] კენჭი უყარა წარმოდგენილ ცვლილებას და დაამტკიცა ერთხმად

[illegible]ბრე: 20
მოწინააღმდეგე: 0
თავი შეიკავა: 0

6. 1988 წლის კურსდამთავრებული ნონა უგულავას დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების შექმნა.

საბჭოს წევრებს პროფესორმა თამარ გაგოშიძემ მოახსენა, რომ თსუ–ს რექტორს განცხადებით მიმართა 1988 წლის ფილოსოფია-ფსიქოლოგიის ფაკულტეტის კურსდამთავრებულ ნონა უგულავას წარმომადგენელმა თინათინ გოგიჩაიშვილმა, რომელიც ითხოვს ნონა უგულავას სახელზე ახალი დიპლომისა და დანართის მომზადებას.

ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარდა ადმინისტრაციული წარმოება და დადგინდა, რომ ნონა უგულავა 1983 წელს ჩაირიცხა (ბრძ.#4/583, 25.08.1983) და 1988 წელს (ბრძ. #4/678, 13.07.1988) დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ფილოსოფია-ფსიქოლოგიის ფაკულტეტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1988 წლის ივნისის სხდომის (ოქმი უნომრო, უთარიღო) გადაწყვეტილებით მას მიენიჭა ფსიქოლოგის კვალიფიკაცია, ზოგადი ფსიქოლოგიის სპეციალიზაციით.

ფაკულტეტი ვალდებულია ნონა უგულავას სახელზე გასცეს ახალი დიპლომი მოქმედი ფორმით, რომელიც ითვალისწინებს აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების თარიღისა (რიცხვი, თვე, წელი) და ნომრის მითითებას. (რექტორის N55/01–01 16.04.2014წ. ბრძანების შესაბამისად).

ვინაიდან საქმის გარემოებებიდან გამომდინარე ვერ დგინდება ნონა უგულავას სახელზე გასაცემი ახალი დიპლომის ფორმისათვის სავალდებულო მონაცემების, კერძოდ, აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების (ოქმის) ნომერი და თარიღი, მიზანშეწონილად მიგვაჩნია განისაზღვროს მის დიპლომში მისათითებელი სავალდებულო რეკვიზიტები. აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების (ოქმის) ნომრად **პირობითად განისაზღვროს ნონა უგულავას კვალიფიკაციის მინიჭების ბძანების ნომერი, რომელსაც წილადის შემდეგ დაემატება ასო „პ“ (4/პ) და თარიღად ამავე ბრძანების რიცხვი, რომელსაც წილადის შემდეგ დაემატება ასო „პ“ (13/პ ივნისი 1988).** ზემოაღნიშნული პირობა გავრცელდება ბრძანებაში მითითებულ ყველა კურსდამთავრებულზე და მათ დიპლომებში ცვლილება განხორციელდება ინდივიდუალურად მომართვის შემთხვევაში.

საბჭომ კენჭი უყარა წარმოდგენილ შესწორებებს და დაამტკიცა

მომხრე: 19
მოწინააღმდეგე: 1
თავი შეიკავა: 0

ასისტენტ პროფესორ მარინა კაკიაშვილი-ჯაღიაშვილის განცხადება აკადემიურ კონკურსში მონაწილეობის ნებართვის შესახებ

სხდომის თავჯდომარემ, პროფესორმა თამარ გაგოშიძემ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ შემოსულია ასისტენტ პროფესორ მარინა კაკიაშვილი-ჯაღიაშვილის განცხადება, რომელიც ითხოვს ფაკულტეტის საბჭოს ნებართვას აკადემიურ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად. თავჯდომარემ საბჭოს განუცხადა, რომ უნივერსიტეტის რეგულაციით, 65 წელს ზემოთ ასაკის მეცნიერ-მუშაკს აკადემიურ კონკურსზე მონაწილეობის უფლება აქვს მხოლოდ ფაკულტეტის საბჭოს დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში.

საბჭომ კენჭი უყარა ასისტენტ პროფესორ მარინა კაკიაშვილი-ჯაღიაშვილის თხოვნას და ერთხმად დაამტკიცა

მომხრე: 20
მოწინააღმდეგე: 0
თავი შეიკავა: 0

7. ასისტენტ პროფესორ მარინა კაკიაშვილი-ჯაღიაშვილის განცხადება მისი ავტორობით გამოსული სახელმძღვანელოების ფსიქოლოგიის მიმართულების პროგრამების სილაბუსებში სავალდებულო და დამატებით ლიტერატურაში დასახელების შესახებ

სხდომის თავჯდომარემ, პროფესორმა თამარ გაგოშიძემ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ შემოსულია ასისტენტ პროფესორ მარინა კაკიაშვილი-ჯაღიაშვილის განცხადება, რომელიც ითხოვს ფაკულტეტის საბჭოს ნებართვას მისი ავტორობით გამოსული სახელმძღვანელოების ფსიქოლოგიის მიმართულების პროგრამების სილაბუსებში სავალდებულო და დამატებით ლიტერატურაში დასახელების შესახებ. პროფესორმა გაგოშიძემ საბჭოს განუცხადა, რომ, მისი აზრით, არსებულ ფორმატში საბჭო არ არის უფლებამოსილი და კომპეტენტური ამა თუ იმ სახელმძღვანელოს სილაბუსებში ჩატანის ვალდებულების გადაწყვეტილება მიიღოს, შესაბამისად, პროფესორ კაკიაშვილს განეცხადა, რომ მისი წინადადება და, შესაბამისად, დასახელებული სახელმძღვანელოები საწყის ეტაპზე უნდა განიხილონ დეპარტამენტის დონეზე.

საბჭომ ერთხმად დაუჭირა მხარი პროფესორ გაგოშიძის ინიციატივას და ასისტენტ პროფესორ მარინა კაკიაშვილი-ჯაღიაშვილის თხოვნა დეპარტამენტის დასკვნის წარმოდგენამდე გადადო.

მომხრე: 20
მოწინააღმდეგე: 0
თავი შეიკავა: 0

8. ასოცირებულ პროფესორ გიორგი გორგიძის ინიციატივა ფაკულტეტში შემავალი ინსტიტუტების ბაზაზე დროებითი კომისიის შექმნის შესახებ.

ასოცირებულმა პროფესორმა გიორგი გორგიძემ საბჭოს წევრებს განუცხადა, რომ [illegible] ფონეზე შექმნილი პრობლემური სიტუაციებისა და ჩიხში შესული

[illegible] რომელიც დაკომპლექტეული იქნება ფაკულტეტში შემავალი ინსტიტუტებიდან [illegible] წარმომადგენლით. საბჭომ მოისმინა პროფესორ გოროშიძის წინადადება და მიეცა [illegible]ენდაცია საბჭოს განსახილველად წარმოუდგინოს აღნიშნული კომისიის პროექტი მისი ფუნქციებისა და უფლება-მოვალეობების გაწერის გათვალისწინებით.

ასევე, საბჭოს გადაწყვეტილებით მიეცა რეკომენდაცია გიორგი გოროშიძეს სხვა მის მიერ სხდომაზე გამოტანილი საკითხების - ფაკულტეტის მიერ კურიკულუმის სტრუქტურის მოწყობის, ახალ კურიკულუმში ახალი არჩევითი საგნების შეტანის და დამტკიცების, ინსტიტუტში შემავალი მიმართულებების სტატუსის ამაღლების შესახებ - განხილვა მოეწყოს დეპარტამენტის დონეზე და მხოლოდ შემდეგ მიეცეს მსვლელობა ფაკულტეტის საბჭოზე გამოსატანად.

დაადგინეს:

1. გადანაწილდეს და დამტკიცდეს სამაგისტრო პროგრამების დონეზე სტუდენტთა კვოტები წარმოდგენილი სახით.
2. დამტკიცდეს მაგისტრატურის ანკეტა-კითხვარი საბჭოზე წარმოდგენილი სახით.
3. დამტკიცდეს ცვლილებები სილაბუსებში საბჭოზე წარმოდგენილი სახით.
4. დამტკიცდეს „განათლების ფსიქოლოგიისა და კვლევის" სამაგისტრო პროგრამაში ცვლილება - მისაღები გამოცდა სპეციალობაში ნაცვლად საგნისა „განვითარების ფსიქოლოგია" , ჩატარდეს საგანში –„განათლების ფსიქოლოგია და კვლევა"
5. დაამტკიცეს – სამაგიტრო პროგრამის: „შრომისა და ორგანიზაციული ფსიქოლოგია" მაგისტრანტებს მიეცეთ უფლება არჩევითი საგნებიდან 15 კრედიტის არჩევის შესაძლებლობა სამაგისტრო პროგრამებიდან: „ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია", „გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგი", „ორგანიზაციის განვითარება და კონსულტირება" და „ბავშვთა და მოზარდთა შეფასება და კონსულტირება".

6. ფილოსოფია-ფსიქოლოგიის ფაკულტეტის 1988 წლის ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმში მითითებულ კურსამთავრებულთა, მათ შორის ნონა უგულავას აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების (ოქმის) ნომრად განისაზღვროს #4/პ, ხოლო თარიღად ამავე ბრძანების რიცხვი (13), რომელსაც წილადის შემდეგ დაემატება ასო „პ"(პირობითი) ნომრის პირობითობის აღსანიშნავად. (ოქმი#4/პ, 13/პ ივნისი 1988წ.) ზემოაღნიშნული პირობა გავრცელდება ბრძანებაში მითითებულ ყველა კურსდამთავრებულზე და მათ დიპლომებში ცვლილება განხორციელდება ინდივიდუალურად მომართვის შემთხვევაში.
7. მიეცეს თანხმობა ასისტენტ პროფესორ მარინა კაკიაშვილი-ჯაღიაშვილს აკადემიურ კონკურსში მონაწილეობის ნებართვის შესახებ წარმოდგენილ განცხადებაზე.

სხდომის თავმჯდომარე: პროფესორი
თამარ გაგოშიძე

სხდომის მდივანი: ასისტენტ პროფესორი
ზაქარია ქიტიაშვილი